

# აკიანე

## მითრიდავას ომების ისვორია

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოცემა  
და შესავალი და საძიებლები დაურთო  
თ. შაუხჩიშვილმა

### შინაარსი

33.

წინასიტყვაობა . . . . .	6 — 8
შესავალი . . . . .	9 — 40
ტექსტი . . . . .	41 — 232
საძიებლები . . . . .	233 — 270
პირთა სახელები . . . . .	234 — 253
ხალხთა და ტომთა სახელები . . . . .	254 — 258
გეოგრაფიული სახელები . . . . .	259 — 270
შეცდომათა გასწორება . . . . .	271

---

## წინასიტყვაობა

ძველი ბერძენი მწერლების ცნობები ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის ერთ-ერთი ძირითადი წერილობითი წყაროა.

ბერძენ მწერალთა შორის ახ. წ. II ს-ის რომაელ მოქალაქეს და ისტორიკოსს, აპიანეს უმნიშვნელო ადგილი არ უჭირავს. მისი „რომის ისტორია“ რომის საგარეო პოლიტიკასა და შინაურ სა-მოქალაქო ომებს ასახავს, ხოლო ამ ნაშრომის XII წიგნი, „მითრიდატიკა“ მთლიანად პონტოს ცნობილი მეფის, მითრიდატე ევპატორის ომების ისტორიას გადმოსცემს.

პონტოს სამეფოსა და მითრიდატე ევპატორის ისტორია უეჭველად საინტერესოა საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის—იმიტომ, რომ პონტოს სამეფო არა მარტო ტერიტორიულად იყო ახლოს ანტიკურ საქართველოსთან, არამედ მისი დიდი ნაწილი ქართველური ტომებით იყო დასახლებული და ამ ნაწარმოებში მოიპოვება ცნობები უშუალოდ ქართველური ტომების შესახებაც.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია აპიანეს „მითრიდატიკის“ სრული ტექსტი, გადმობეჭდილი თითქმის უცვლელად, ძირითადი ვარიანტული კითხვა-სხვაობებით უკანასკნელი კრიტიკული გამოცემიდან (Appiani, *Historia Romana*, vol. I, ediderunt P. Viereck et A. G. Roos, Lipsiae, 1939), და მისი ქართული თარგმანი. ტექსტს წინ უძღვის „შესავალი“, რომელშიც მოცემულია სხვა დასხვა ცნობები თვით აპიანესა და მისი „ისტორიის“ შესახებ და ამას გარდა განხილულია მის თხზულებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, კერძოდ მსჯელობაა იმ ცნობების შესახებ, რომლებიც საქართველოს შეეხება.

ტექსტს ახლავს საძიებლები — პირთა, ხალხთა და გეოგრაფიულ სახელთა. თარგმანში სახელთა მართლწერისას შეძლებისდაგვარად დაცულია დედნის წაკითხვები და ბერძნულ სახელთა ქართულად გადმოცემის ნორმები.

ქართულ თარგმანში ხშირად ვხვდებით კვადრატულ ფრჩხილებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სიტყვა ბერძნულ დედანში არ არის, იგი თარგმანს აზრის სიტყვადისათვის აქვს დართული.

აქვე მომყავს ბერძნული ტექსტის სქოლიოებში ნახმარ შემოკლებათა ახსნა:

- a: Codex Parisinus № 1681  
b: Codex Parisinus № 1682  
d: Codex Vratislavensis Rhedigeranus № 14  
f: Codex Laurentianus LXX 33
- } i XV—XVI სს-ის  
ხელნაწერები.
- B: Codex Venetus Marcianus № 387, 1441 წლის  
[A: Codex Monacensis graecus № 374] XV ს. } 0  
V: Codex Vaticanus graecus № 134, XIV—XV სს.
- C: Candidi translatio (კანდიდუსის თარგმანი).  
Gel.: Sigism. Gelenius (აპიანეს ტექსტის განმარტება 1554 წლისა).  
C. Steph.: Carolus Stephanus (აპიანეს გამოცემა 1551 წლისა).  
H. Steph.: Henricus Stephanus (აპიანეს გამოცემა 1592 წლისა).  
Musgr.: Sam. Musgrave, რომლის ჩანაწერებითაც ისარგებლა შვადგ-  
ჰოფერმა.  
Reiske: Ioh. Iac. Reiske, რომლის შენიშვნებითაც ისარგებლა  
შვადგჰოფერმა.  
Schw.: Iohannes Schweighaeuser (აპიანეს გამოცემა 1785 წლისა).  
Bk: Imman. Bekker (აპიანეს გამოცემა 1852, 1853 წლისა).  
Mend: Ludovicus Mendelssohn (აპიანეს გამოცემა 1879, 1881 წლი-  
სა).  
Nauck: Augustus Nauck, რომლის კონექტურებითაც ისარგებლა  
მენდელზონმა.  
Emph.—აღნიშნავს Emphyliorum libri-ს („სამოქალაქო ომების ის-  
ტორიას“).  
Berg H. De participii temporum usu Appiano. Diss. Bonn.  
1884.  
Bitschofsky R. Zeitschrift für die österreichischen Gymnasien  
33 (1882), p. 440—447 (რეცენზია მენდელზონის გამო-  
ცემაზე).  
Boiss(evain) U. Ph., Cassii Dionis Cocceiani historiarum Roma-  
narum quae supersunt. Vol. I—V, Berolini, 1895—1931.  
Borghesi B. Oevres complètes. T. I—X, Paris, 1862—1897.  
Cobet C. G. Ad Appianum. Mnemosyne N. S. 10 (1882) p.  
211—238.



- Drumann W.** Geschichte Roms in seinem Übergange von der republikanischen zur monarchischen Verfassung, 2. Aufl. besorgt von P. Groebe, Band 1—6. Berlin, 1899—1929.
- Emperius Ad.** Emperius' marginalien zum Appianos. Philologus 10 (1855) p. 242.
- L. Goetzeler.** Quaestiones in Appiani et Polybii dicendi genus etc. Wirceburgi, 1890. Pars I. De Appiano p. 1—74.
- H. van Harwerden,** Lectiones Rheno-Traiectinae, Lugduni Batav., 1882.
- Kratt G.** De Appiani, Diss. Heidelb. 1886.
- Kromayer I.** Antike Schlachtfelder. Band I, II, III 1 und (bearbeitet von G. Veith) III 2, IV (bearbeitet von Kromayer und Veith). Berlin, 1903—1931.
- Loesch K.** Philologischer Anzeiger 14 (1884) p. 514—522 (გენზია მენდელზონის გამოცემაზე).
- Loesch K.** Sprachliche und erläuternde Bemerkungen zu Appian. Beilage zum Jahresbericht des K. Neuen Gymnasiums in Nürnberg, 1892.
- Palmerius I.,** Exercitationes in optimos fere auctores graecos. Lugduni Batav., 1668 (Traiecti ad Rhenum, 1694), p. 151—167.
- Zeiss G.** Appians römische Geschichte übersetzt. Teil 1. 2. Leipzig, 1837, 1838.
- Zerdik A.** Quaestiones Appianeae, Diss. Kiliae 1886, I, De Appiano Herodoti imitatore, II, De Appiano hiatus vitandi studioso.

## შესავალი

ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული აზრის თანახმად აპიანე (Ἀππιανός) ვიწრო ჰორიზონტის მწერალია, რომელიც ვერ დაიჩემებს რაიმე ორიგინალურის შექმნას, რომელმაც ვერ გაართვა თავი წყაროებს, და რომ მისი შრომა მხოლოდ ამ წყაროების გადამუშავებას წარმოადგენს. მისი განსწავლულობა გეოგრაფიისა და ისტორიის სფეროში ზოგჯერ საექვოდაც კი არის ჩათვლილი<sup>1</sup>.

სინამდვილეში, აპიანე ერთი მეტად საინტერესო ბერძენ მწერალთაგანია, რომელსაც გვერდს ვერ უხვევენ პირველ რიგში საკუთრივ რომის ისტორიის შემსწავლელნი და შემდეგ — ამ ისტორიასთან რამენაირად დაკავშირებული სხვა ქვეყნების წარსულით დაინტერესებული პირებიც. ამ ისტორიკოსის შესახებ კ. მარქსი წერდა: „სალამობით, დასასვენებლად, ვერთობოდი აპიანეს „სამოქალაქო ომებით რომში“ ბერძნულ ორიგინალში, მეტად ძვირფასი წიგნია... შლოსერი ამბობს, რომ მას „სული არა აქვს“. ალბათ იმიტომ, რომ იგი ცდილობს ჩასწვდეს ამ სამოქალაქო ომების მატერიალურ საფუძვლებს“<sup>2</sup>. მართლაც, აპიანე დიდ დაკვირვებულობას იჩენს მის მიერ აღწერილი და გადმოცემული ფაქტების მიმართ და კარგად ერკვევა პოლიტიკურ სიტუაციებში. რომის სამოქალაქო ომების პოლიტიკურ-ეკონომიურ მიზეზებში.

აპიანეს ბიოგრაფიის შესახებ ცნობები საკმაოდ ძუნწად არის შემონახული. ამ ბიოგრაფიის დასადგენად ბევრეგრებს მასალის ამოკრეფა უხდებოდა თვით მისი თხზულებიდან და ფოტიოსის შრომიდან. იგი ალექსანდრიელი ბერძენი იყო, დაიბადა და ცხოვრობდა ტრაიანეს დროს (Civil. II, 90). მომსწრეა იუდეველთა აჯანყებისა (ფრ. 19), ყვაოდა ადრიანეს მეფობისას (რასაც მოწმობს Civil. II, 89; Syr. 50 და ფოტიოსი), ბევრი ისტორიულად ცნო-

<sup>1</sup> Hannak, Em., Appianus und seine Quellen, Wien, 1869, S. 9.

<sup>2</sup> „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, თბილისი, 1937. გვ. 242.

ბილი და უკვე დათარიღებული ფაქტის შესახებ წერს— $\xi\pi'$   $\xi\mu\sigma\iota\sigma$ -ო (ე. ი. ჩემს დროს მოხდა) და გარდაიცვალა ადრიანეზე უფრო გვიან (წერს —  $\mu\epsilon\tau'$   $\alpha\upsilon\tau\acute{\omicron}\nu$ -ო, ე. ი. ესა და ეს ამბავი მოხდა მის, ადრიანეს, შემდეგად). ამგვარად, აპიანეს შემსწავლელ სპეციალისტთა აზრის თანახმად, იგი ცხოვრობდა დაახლოებით 90—170 წლებში.

იგი ჯერ რომში მოსამართლეობდა, იმპერატორის ხელქვეითი ვეილი იყო, ე. წ. *advocatus fisci* ( $\delta\iota\kappa\alpha\iota\varsigma \xi\nu$   $\text{P}\acute{\alpha}\mu\eta$   $\sigma\upsilon\nu\alpha\gamma\omicron\rho\epsilon\sigma\sigma\alpha\varsigma \xi\pi'$   $\beta\alpha\sigma\iota\lambda\acute{\epsilon}\alpha\nu$ ). ხოლო შემდეგ ადრიანეს დროს ეგვიპტის პროკურატორად იქნა დანიშნული. ამავე ადრიანეს დროს ებოძა მას რომაელი მხედრის (*equus romanus*) წოდება.

ამგვარად, თავისი მოღვაწეობით აპიანე რომაელი მოქალაქე იყო და ბუნებრივია, რომ ლათინური ენა საკმაოდ კარგად იცოდა. განათლება უპირატესად გრამატიკული და რიტორიკული ჰქონდა.

აპიანეს სახელით ცნობილია მის მიერ დაახლოებით 160 წელს დაწერილი  $\text{P}\alpha\mu\alpha\lambda\acute{\alpha}$  („რომის ისტორია“), რომელიც თავის დროზე თურმე 24 წიგნისაგან შედგებოდა (ტრადიციული დაყოფა ნაწარმოებისა ბერძნული ანბანის რაოდენობის მიხედვით). ამ ნაშრომში უარყოფილი იყო აპიანეს წინამორბედი ცნობილი ისტორიკოსების ბიერ გაზიარებული ქრონოლოგიური მეთოდი და იგი ეთნოგრაფიული მეთოდის მიხედვით იყო გამართული: ავტორი მიზნად ისახავდა ფართო, არარომაელი საზოგადოებისათვის წარმოდგინა რომის ისტორია, განსაკუთრებით კი რომის პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რისთვისაც აგვიწერდა რომის მიერ დაპყრობილი ცალკეული ქვეყნების ისტორიას იმ თანრიგით, როგორითაც რომი მათ იპყრობდა. თხზულებაში გადმოცემული იყო რომის ისტორია რომის დაარსებიდან ახ. წ. II ს-ის პირველ მეოთხედამდე (დაახლოებით). ნაწარმოების მიზანი რომის პოლიტიკის პოპულარიზაცია, ერთგვარი პროპაგანდა იყო.

შრომის შედგენილობა ასეთი იყო: I წიგნი—მეფეთა, სადაც აღწერილი იყო რომაელ მეფეთა ისტორია, დაწყებული ენეასის მოსვლიდან იტალიაში. II წიგნი ეხებოდა იტალიის, ხოლო III—სამნიტთა ისტორიას II—III წიგნებში მოთხრობილი იყო იტალიის გაერთიანების შესახებ რომის მეთაურობით. IV წიგნი—კელტების, ე. ი. გალიის ისტორიას გადმოსცემდა. V—სიცილიისას, VI—იბერიისა, ესპანეთის ისტორიას ეხებოდა. VII—ჰანიბალისა, VIII—ლიბიისა (ეს უკანასკნელი 4 წიგნი ეხებოდა რომისა და კართაგენის ბრძოლებს).

IX—მაკედონიისა და ილირიისა. X—საბერძნეთისა და იონიისა. XI წიგნში სირიის ისტორია იყო. XII-ში—მითრიდატეს ომების ისტორია. XIII—XVII წიგნებში—სამოქალაქო ომების ისტორია; დაწყებული გრაკუსების დროიდან ვიდრე ძვ. წ. 37 წლამდე. XVIII—XXI წიგნები ეგვიპტეს ეხებოდა და განიხილებოდა ძვ. წ. 37—31 წლების ამბები. XXII წიგნს 'Εχχτονταετις („ასი წელი“) ეწოდებოდა და შეიცავდა იმპერიის ისტორიას ავგუსტუსის დროიდან ტრაიანემდე. XXIII წიგნი დაკიის შესახებ იყო, ხოლო XXIV—არაბეთის. ამ ორ წიგნში მოთხრობილი იყო იმ ომების შესახებ, რომელთაც აწარმოებდა ტრაიანე დაკიასა და არაბეთში. როგორც ჩანს, აპიანეს პართიის შესახებაც ჰქონია წიგნი, რომელიც ამავე თხზულებაში ჯნდა შესულიყო.

დღესდღეობით აპიანეს თხზულებიდან მთლიანად არის მოღწეული: VI—VIII (ესპანეთის, ჰანიბალის და ლიბიის წიგნები) და XI—XVII (სირიის, მითრიდატეს და სამოქალაქო ომების წიგნები). XVIII—XXIV წიგნები მთლიანად დაკარგულია, ხოლო დანარჩენები შემონახულია ნაწილობრივ ან ფრაგმენტულად.

იმის შესახებ თითქოს არ არის დავა, რომ აპიანეს რომისა და მისი პროვინციების ისტორიის დამოუკიდებელი კვლევა-ძიება და მეცნიერული შესწავლა არ უწარმოებია. საერთო აზრი ისეთია, რომ აპიანეს უნდოდა ფართო საზოგადოებისათვის მიეწოდებინა კარგად დამუშავებული ნაწარმოები, რომელიც ჩააგონებდა მას რომის ძლევა-მოსილებას. 'Ρωμαϊκά ერთგვარად, დღევანდელი ტერმინოლოგიით, პოპულარულ-მეცნიერულ შრომად არის აღიარებული. ისინიც კი, ვინც ასეთად სცნობენ აპიანეს ნაწარმოებს, არ უარყოფენ იმას, რომ ავტორი სხვადასხვა წყაროებით სარგებლობდა, და სცნობენ იმასაც, რომ ბევრ შემთხვევაში აპიანეს მიერ დაცული ცნობები უფრო საყურადღებოა, ვიდრე სხვა ავტორებისა. მაგალითად, ერთ-ერთ უახლეს წერილში პირდაპირ წერია, რომ აპიანესა და პოლიბიოსის მოთხრობათა შედარებამ ცხადჰყო, რომ პოლიბიოსი არც იმდენად სანდოა, როგორც იყო მიჩნეული უკანასკნელ დრომდე<sup>1</sup>. ნ. ნოვოსადსკი კი წერს: „В рассказе об этой битве (ბრძოლა ნიკოპოლისთან — თ. ყ.) я следовал Плутарху и Аппиану, которые, расходясь в некоторых частностях, в общем согласны между собой. Т. Моммзен рекон-

<sup>1</sup> W a l s e r, L. Die Ursachen des ersten römisch-illyrischen Krieges: Historia, II, 1954. S. 308--318.

сформулировал описания этой битвы по Диону Кассию, но рассказ Диона вызывает некоторые недоумения и поэтому едва ли соответствует действительности\* 1.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილის მიხედვით ნათელია, რომ ზოგ შენთხვევაში უპირატესობა ენიჭება აპიანეს, ისეთ ავტორიტეტულ ისტორიკოსებთან შედარებითაც კი, როგორებიც არიან დიონ კასიოსი და პოლიბიოსი. აპიანეს წყაროების კვლევა გაძნელებულია იმიტომ, რომ ავტორი კი მიუთითებს იმაზე, რომ ესა თუ ის აზრი სხვისია, მაგრამ იმ პირს ვარკვეულად არ ასახელებს (როგორც ამას სჩადიოდა მაგ., სტრაბონი).

აპიანეს Πρωμυξός-ს წყაროთა შესახებ საგანგებო გამოკვლევა აქვს ჰანაკს, რომელიც იმ აზრისაა, რომ ავტორი საკუთარ ფეხზე სუსტად დგას. მეტიმეტად არის დამოკიდებული თავის წყაროებზე. ასეთ წყაროებად მიჩნეულია: დიონისიოსი, პოლიბიოსი, კვინტუს ფაბიუს პიქტორი, ლივიუსი, იულიუს კეისარი, პლუტარქოსი, სალუსტიუსი, დიოდორე და ზოგი სხვა.

ეს ავტორები სხვადასხვა ნაწილების წყაროებად არიან ჩათვლილი. მაგ., გალიის შესახებ ცნობები — გამოკრეფილია იულიუს კეისრისა და პლუტარქოსისაგან, ნუმიდიის შემთხვევაში გამოყენებულია სალუსტიუსი და დიოდორე, მაკედონიისათვის შესაძლოა სხვა რამ წყაროც არსებობდა, მაგრამ ძირითადი მაინც პოლიბიოსი იყო. მეფეთა წიგნისათვის მასალად გამოყენებული იყო დიონისიოსი, ხოლო რაკი-ლა ლივიუსთან დიდ მსგავსებას იჩენს აპიანე ამ ნაწილში, ამიტომ მკვლევრის აზრით მასა და ლივიუსს ერთი საერთო წყარო ჰქონდათ — ეს იყო კვინტუს ფაბიუს პიქტორი 2.

ე. შვარცს ეკუთვნის ერთ-ერთი საუკეთესო გამოკვლევა აპიანეს შესახებ, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აპიანეს წყაროთა საკითხს. ე. შვარცის აზრით პირველი წიგნების (I—V) ფრაგმენტების შესწავლა იმას გვიჩვენებს, რომ აპიანეს ტექსტი უახლოვდება დიონისიოსის, ლივიუსის, კასიუს ჰემინას და ვალერიუსის შრომებში დაცულ ცნობებს; ნაწილობრივ დიოდორესას და პოლიბიოსისას. შემდეგი წიგნები (VI—XII) მსგავსებას იჩენენ: პოლიბიოსის, ლივიუსის, პოსიდონიოსის, სალუსტიუსის, თეოფა-

\* Н. И. Новосадский, Последние годы борьбы Митридата с Римом. (Труды секции археологии. IV, Минск, 1928, стр. 349).

2 Appianus und seine Quellen von Dr. Emanuel Hannak. Allgemeines über Appianus und sein Werk. Die fragmentarisch überlieferten Bücher. Wien, 1869. გვ. 29, 40, 44, 67 და სხვ.

ნეს, სტრაბონის შრომებთან და სულას იემუარებთან. უკანასკნელი წიგნებისათვის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს პლუტარქოსი, აზინიუს პოლიონი, იულიუს კეისარი (არა უშუალოდ) და სხვა ავტორები.

საერთო აზრი, რაც შვარცის წერილშია გატარებული, ისაა, რომ აპიანემ კარგად იცის ლათინური და ძირითადად ლათინურ წყაროებს იყენებს, ხოლო რაც შეეხება ორ ბერძენ ავტორს, დიონისიოსსა და პოლიბიოსს, მიუხედავად იმისა, რომ აპიანეს თხზულებაში ბევრი ადგილი ემსგავსება მათი ნაწარმოებებიდან მთლიან ადგილებს, მაინც იმ აზრისაა შვარცი, რომ ეს ორი ავტორი აპიანეს უშუალოდ არ გამოუყენებია<sup>1</sup>. შვარცი საფუძვლიანად უარყოფს იუდეიხისა და სხვათა აზრს, რომ თითქოს აპიანეს ერთი მთლიანი ბერძნული წყარო ჰქონდა და ეს წყარო იყო სტრაბონი<sup>2</sup>. სტრაბონს მიიჩნევს ძირითად წყაროდ I ტრიუმვირატისა და შემდეგი ხანის ისტორიისათვის ჰინციცი, ხოლო სტრაბონის *Ἰστορίαι*-ში თავისთავად აზინიუს პოლიონის შრომა იყო ასახული<sup>3</sup>.

ვ. ენსლინის მიზანი იყო დაედგინა, თუ რა ჰქონდა აპიანეს წყაროდ პირველი სამოქალაქო ომისათვის. ვრცელი მსჯელობისა და მრავალი პარალელური ტექსტის მოშველებით ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ თუ რომელიმე ცალკეული ადგილისათვის პოსიდონიოსია წყაროდ ჩასათვლელი, ძირითადად ამ ნაწილისათვის აპიანესთან ერთად განსახილველია ლივიუსის ისტორია. აპიანე ძველ ბერძნულ მასალას კი არ იყენებდა უშუალოდ, არამედ ლივიუსის ეპიტომე ჰქონდა ხელთ, რომლითაც სარგებლობდა. ხოლო თუ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში აპიანე სიახლოვეს იჩენს რაიმე ძველ ბერძნულ წყაროსთან და განსხვავდება ლივიუსისაგან, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ადგილი თვით აპიანეს წყაროში იყო უკვე გადაშუშავებული<sup>4</sup>.

ერთ-ერთი უკანასკნელი გამოცემის წინასიტყვაობაში ჩამოთვლილი არიან ავტორები, რომელთაც იყენებს აპიანე დასახელებით, დაუსახელებლად, უშუალოდ და სხვათა შრომების მიხედ-

<sup>1</sup> E. Schwartz. Appianus: RE, II, 1896, გვ. 216 და შმდ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 235 და შმდ.

<sup>3</sup> C. H. Hinz, Zur Beurteilung Appians und Plutarchs. Jena, 1891, გვ. 8.

<sup>4</sup> Ensslin, W., Appian und die Liviustradition zum ersten Bürgerkrieg: Klio, 20. Band, Leipzig, 1926. SS. 415—416.

ვით. ასეთ ავტორებად ჩანან: პოლიბიოსი, პავლუს კლავდიუსი. აულიუს კეისარი, ავგუსტუსი, აზინიუს პოლიონი. არ არიან. 'Ραμαχῆς-ში დასახელებული, შემდეგი ავტორები, მაგრამ გამომცემელს უეჭვოდ მიაჩნია მათ შრომებთან აპიანეს ნაცნობობა: ლივიუსი, სალუსტიუსი, დიონისიოსი, დიოდორე. 'Ραμαχῆς-ში იხსენებიან, მაგრამ ეს კიდევ იმას არ მოწმობს, რომ აპიანემ მათი შრომებით უეჭველად ისარგებლა, შემდეგი ავტორები: ვარონი, ფაბიუს პიქტორი, კასიუს ჰემინა და რუტილიუს რუფუსი<sup>1</sup>.

აპიანეს „მითრიდატეს ომების ისტორიისა“ და „სირიის წიგნის“ რუსულ თარგმანს, რომელიც ВДИ-ში გამოქვეყნდა, დართული აქვს ო. სევასტიანოვას წინასიტყვაობა, ხოლო ამავე ავტორის წერილი მისი საკუთარი სხვა წიგნების თარგმანითურთ მოთავსებულია ВДИ-ს სხვა წლის ნომერში. ო. სევასტიანოვა აპიანეს წყაროების შესახებ შემდეგს წერს: „...Аппиан привлек при составлении своего труда целый ряд сочинений, различных по характеру и достоинствам. „Римская история“ свидетельствует о том, что ее автор был хорошо знаком и с греческими и с римскими авторами. Некоторых он называет сам: Гиеронима из Кардии, Полибия, Цезаря, Варрона и т. д., ссылается на какой-то очень обширный труд по римской истории, ... возможно, Ливия. Аппиан использовал труды анналистов, мемуары, биографии политических деятелей и т. д., иногда непосредственно, иногда через третьих лиц“<sup>2</sup>. ამავე ავტორის აზრით 'Ραμαχῆς-ს პირველი ოთხი წიგნის წყაროდ უნდა ჩაითვალოს: კვინტუს კლავდიუს კვადრიგარიუსი და ლუციუს კასიუს ჰემინა; მათთან ერთად იულიუს კეისარი (თვით კეისრის დაშქრობათა აღწერილობებისას)<sup>3</sup>.

უფრო ადრე, როდესაც ო. სევასტიანოვა მიმოიხილავს „მითრიდატეს ომების ისტორიას“, მისი წყაროების შესახებ შემდეგს ამბობს: „საყოველთაოდ გაზიარებულად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ „მითრიდატეს ომების ისტორიის“ შედგენისას აპიანე პირველწყაროებით კი არ სარგებლობდა, არამედ იყენებდა ძეგ. I სს-ის ავტორებს“.

<sup>1</sup> Appian's Roman history with an english translation by Horace White, I, 1928. Introduction.

<sup>2</sup> О. И. Севастьянова, Аппиан и его „Римская история“, ВДИ 1950, № 2, стр. 258.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 261—262.

მითრიდატეს I ომის აღწერისას იგი ეყრდნობოდა ტიტუს ლივიუსს (ეს კი თავის მხრივ იყენებდა როგორც ბერძნულ, ასევე ლათინურ წყაროებს: პოსიდონიოსს, თეოფანეს, კლავდიუს კვადრიგარიუსს, ვალერიუს ანციასს, სიზენას, ვარონს, სალუსტიუსს...). ამას გარდა სხვა წყაროს მეშვეობით აპიანე სარგებლობდა პოსიდონიოსის ცნობებით.

მითრიდატეს II ომის აღწერისას აპიანესათვის წყარო სალუსტიუსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უშუალოდ სალუსტიუსის შრომით მას არ უნდა ესარგებლოს. სპეციალისტთა აზრით, ნიკოლოზ დამასკელი იყო ის ავტორი, რომლის მეშვეობითაც აპიანე პოსიდონიოსისა და სალუსტიუსის ცნობებს იყენებდა.

მითრიდატეს III ომის წყაროდ ისევ პოსიდონიოსი არის აღიარებული. დაბოლოს, ო. სევასტიანოვა დაასკვნის: „Таким образом, мы с уверенностью можем сказать, что источниками Аппиана по истории Митридатых войн были авторы сравнительно поздние и второстепенные. Кроме того, это—авторы проримской ориентации“...<sup>1</sup> ამ დასკვნის მიმართ ის მაინც უნდა შეინიშნოს, რომ ვერ დავეთანხმებით მკვლევარს ლივიუსის, პოსიდონიოსისა და სალუსტიუსის მეორეხარისხოვან ავტორებად გამოცხადებაში.

თ. რენაჟის მონოგრაფიაში „Mithridate Eupator roi de Pont“ (Paris, 1890) სხვა საკითხებთან ერთად დასმულია მითრიდატეს ისტორიის წყაროების საკითხი. ერთ-ერთ წყაროდ, ავტორად, როგორც მოსალოდნელიც იყო, აპიანეც არის გამოცხადებული და თვით აპიანეს წყაროებია გარკვეული ამ ასპექტში. სახელდობრ: მითრიდატეს სულასთან ომი ტიტუს ლივიუსზე დაყრდნობითაა გადმოცემული; ომი მურენასა და მითრიდატეს შორის ნიკოლოზ დამასკელის მიხედვითაა მოთხრობილი; ლუკულუსთან ომის წყაროდ ავტორს იგივე ნიკოლოზ დამასკელი ჰყავს დასახელებული, მხოლოდ არა დაბეჭდვით. პომპეუსისა და მითრიდატეს ომები გადმოცემულია ან ისევ ნიკოლოზ დამასკელის (ეს კვლავ საეგებისოდ) ან პოსიდონიოსის თხზულებათა გათვალისწინებით (გვ. 452).

ასე ესახება თ. რენაჟს აპიანეს წყაროები მითრიდატეს ისტორიის საკითხში, თუმცა ვრცელი მსჯელობა (და, მაშასადამე, სა-

<sup>1</sup> О. И. Севастьянова, Аппиан, Митридатовы войны, Сирийские дела, Введение: ВДИ, 1946, № 4, стр. 233—235.



განგებო კვლევა) ამ ამბებისა მას არ აქვს. რაც შეეხება „მითრიდატიკის“ წყაროებს საზოგადოდ, მართალია ამ ნაწარმოებით ისეთი ავტორიტეტული სპეციალისტები იყვნენ დაინტერესებული, როგორც რეინაკი და შვარცია, მეგრამ საგანგებო კვლევა სწორედ ამ ნაწილის წყაროებისა არავის უწარმოებია და ასეთი რამ რომ გაკეთდეს, ეგებ აოც ის დარჩეს საეკვო, რომ აპიანეს თუ მთლად წარწერებითა და საარქივო დოკუმენტებით არა, შემოწმებული და პირველხარისხოვანი მასალით მაინც უსარგებლია.

აპიანეს *Ῥωμαίων*-დან, როგორც ზემოთაც ითქვა, მთლიანადაა მოღწეული VI—VIII და XI—XVII წიგნები. IX-დან მთლიანად მხოლოდ ილირიის შესახები ნაწილია. რაც შეეხება დანარჩენ წიგნებს, IX-დან ეპიტომე და I წიგნის დასაწყისი დაცული აქვს ფოტიოსს და *cod. Paris. suppl. Gr. 607 A-s*, XXIV წიგნიდან ნაწყვეტი არის აქვე (ეს ათონური წარმოშობის ხელნაწერია). II—V და IX წიგნის ნაწყვეტები დაცულია კონსტანტინე პორფიროგენეტის ექსცერპტებში. ზოგიც სვიდასთან და სხვა ლექსიკოგრაფებთან.

უძველესი ხელნაწერი, რომელიც აპიანეს თხზულების ერთ მთლიან ნაწილს შეიცავს, არის XI ს-ისა, ვატიკანის ხელნაწერი № 142. აქ არის წიგნები: იბერიისა, ჰანიბალისა და ლიბიის შესახებ (ე. ი. VI, VII, VIII). ამ წიგნებისათვის სხვა ხელნაწერი არ არსებობს, ეს ერთადერთია. რაც შეეხება დანარჩენ მოღწეულ წიგნებს, ისინი O ჯგუფის, არქეტების ხელნაწერების სახით არიან მოღწეული, ესენია: *Venetus Marcianus 387, Monacensis 374* და *cod. Vaticanus 134*. ამას გარდა არის კიდევ ამ ნაწილების შემცველი სხვა ხელნაწერებიც, მაგრამ ისინი უფრო მდარე ხარისხისად არიან გამოცხადებული.

„მითრიდატეს ომების ისტორიის“ შემცველი ეს უძველესი ხელნაწერი XV ს-ით არის დათარიღებული.

ბერძნული ტექსტი პირველად 1551 წელს გამოიცა *Carolus Stephanus*-ის მიერ პარიზში. ხელნაწერები პირველად შეისწავლა და კრიტიკულად მოეკიდა მათ *J. Schweighäuser*-ი, შტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც თავისი შრომა 1785 წელს გამოაქვეყნა.

*Ῥωμαίων*-ს პირველი საყურადღებო გამოცემა (1879—1882 წლებისა), რომელიც ტოლმენერის სერიაშია შესული, ეკუთვნის დორპატის უნივერსიტეტის პროფესორს, *L. Mendelssohn*-ს. არსებითად აქედანვე არის გადაბეჭდილი *Loeb*-ის სერიაში შესული აპიანეს თხზულების

ტექსტი, ინგლისური თარგმანი თურთ, რომელიც H. White-ს ეკუთვნის და რომელიც პირველად 1912—1913 წლებში გამოქვეყნდა (იგივე გადაიბეჭდა რამდენჯერმე და უკანასკნელად—1955 წელს).

P. Viereck-მა 1905 წელს გამოსცა აპიანეს 'Ραμαξίχ-ს მეორე ნაწილი (სამოქალაქო ომები), ხოლო 1939 წელს მან A. G. Roos-თან ერთად გამოაქვეყნა ამავე შრომის პირველი ნაწილი (სადაც შესულია „მითრიდატეს ომების ისტორიაც“). ეს გამოცემა, განსხვავებით მასზე უწინ არსებული გამოცემებისაგან, სქოლიოებში შეიცავს ხელნაწერთა კითხვა-სხვაობას, ამდენად, დღესდღეობით აპიანეს ტექსტზე მომუშავე პირთათვის მისი გავალისწინება აუცილებელია.

აპიანეს 'Ραμαξίχ-ს სხვა გამოცემებიც არის ცნობილი, მაგალითად ისინი საინტერესოს არაფერს შეიცავენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიულ მეცნიერთა შორის აპიანეს დიდი გასავალი არ ჰქონდა, მისი თარგმანი არსებობს სხვადასხვა ენებზე. მაგალითად, ლათინური თარგმანი Petrus Candidus Decembris-ისა; გერმანული თარგმანი — დილენიუსისა (რომელიც 1822 წელს გამოქვეყნდა), ინგლისური თარგმანი—H. White-ისა და სხვა. H. White-ის თარგმანი ერთ-ერთ საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს.

რუსულად აპიანე მხოლოდ ჩვენს დროს ითარგმნა: პირველად გამოქვეყნდა „Гражданские войны“, თარგმნილი კოლექტივის მიერ, ს. ვებელჟოვისა და ო. კრეჟგერის რედაქციით (Л. 1935). შემდეგ „Митридатовы войны“ და „Сирийские дела“, ს. პ. კონდრატიევის თარგმანი (ВДИ, 1946, № 4). ყველა დარჩენილი წიგნები და ფრაგმენტები, რაც არ შევიდა ზემოთ დასახელებულ ორ შრომაში, რუსულად თარგმნა ო. სევასტიანოვამ და გამოაქვეყნა 1950 წელს Аппиан, Римская История: ВДИ, 1950, №№ 2, 3, 4. სხვა თარგმანთა განხილვას არ გამოვეკიდებით. რაც შეეხება ს. კონდრატიევის „მითრიდატეს ომების ისტორიის“ თარგმანს, მასთან სადავო ბევრი გვაქვს, რაც აღნიშნულიც არის ქართულ თარგმანთან სათანადო ადგილებში. ერთი, რაც უნდა ითქვას ზოგადად, ეს ისაა, რომ იგი არ არის ზედმიწევნით ზუსტი და ხშირად ახდენს ნაჩქარევისა და სასხვათაშორისოდ გაკეთებულის შთაბეჭდილებას. აქ მოვიყვან მხოლოდ ამის რამდენიმე ნიმუშს: I, 15 Κόλχους, ἔθους ἀπειμαγῆς племя, помешанное на войне. ქართ. არის „კოლხები კარგი მეომარი ხალხია“.

92 ἐπ' ἔργους δένειμένους — რუსულად არის *насильно при- ставленных*. ქართულად ეს ნიშნავს: „რომლებიც სამუშაოთი იყენენ შებოროკილებით“.

93 καὶ ἡ γῆ τῶν ἔργων ἐνδεῆς διὰ τῆν ἀνεπιμύξιν — რუს. а вследствие отсутствия обмена страна стала нуждаться в изделиях ремесла. სწორი თარგმანი არის:

„მიწას, [ხალხთა შორის] ურთიერთობის უქონლობის გამო დამუშავება აკლდა“.

101 ἐς τῆν Χωτηνήν Ἀρμενίαν ἐνέβαλεν вторгся в Хотенейскую Армению, უნდა იყოს:

„შეიჭრა ხოტენეში, არმენიაში“.

ტიგრანე, არმენიის მეფე, სინამდვილეში სიძე იყო მითრიდატესი, რუს. თარგმანში (§ 15) ის სიმამრად (тесть) არის გამოცხადებული. რამდენჯერმეა „Дарий Гистасп“ იმის მაგივრად, რომ იყოს: „Дарий сын Гистаспа“ (§§ 112, 115).

არაა გარჩეული „ბარიონი“ და „პაროსი“, ორი სხვადასხვა გეოგრაფიული სახელწოდება (§ 76). „Ближняя Армения“, ნაცვლად Малая Армения-სი (§ 115). „Кеосцы“ რამდენჯერმე, „косцы“-ს მაგივრად (§ 115) და სხვ.

როდესაც მიზნად დავისახეთ აპიანეს შესწავლა, ძირითადი ის იყო, რომ გამოვევლინებინა, რა ცნობები შემოგვინახა ამ ავტორმა ძველი საქართველოს შესახებ. სკვითიისა და კავკასიის შესახები ცნობები როგორც სხვა ბერძენ-რომაელი ავტორებისა, აგრეთვე აპიანესიც, გამოჰკრიფა და რუსულად თარგმნა ვ. ლატიშევიმა (SC I, გვ. 526—539), რითაც მან დიდი სამსახური გაუწია, სხვაზედ რომ არაფერი ვთქვათ, ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის მასალის დაგროვებას. მაგრამ, როგორც ცნობილია, ვ. ლატიშევის კრებული თხზულებათაგან გამოკრეფილი ნაწყვეტებისაგან შედგება, რა დროსაც შეიძლება ზოგი რამ უნებურად იყოს გამოტოვებული და ზოგიც ისეთი იყოს შიგ შესული, რასაც უშუალოდ საქმესთან კავშირი არ ჰქონდეს. ამდენად, საჭიროდ დავნახეთ აპიანეს ამ ვრცელი თხზულებიდან მისი ერთი, საქართველოს ისტორიასთან ყველაზე ახლოს მდგომი თავის, „მითრიდატეს ომების ისტორიის“ სრული ქართული თარგმანის შესრულება. როგორც დასათაურებიდანაც ჩანს, აპიანეს მიზანი ამჯერად იყო მითრიდატეს ომების აღწერა და ნაწარმოებში იმდენად არის ცნობები საქართველოს შესახებ, რამდენადაც მითრიდატე პონტოს მეფეა, ე. ი. მეფეა საქართველოს ერთ-ერთი უახლოესი მეზო-

ბელი ქვეყნისა, და მისი სხვადასხვა საქმიანობა რამდენადმე ეხებოდა საქართველოს ტერიტორიასაც და მასზე მცხოვრებ ქართველურ ტომებსაც.

„მითრიდატიკაში“ ბევრი რამ არის ისეთი, რასაც საქართველოსთან უშუალო კავშირი არა აქვს (მაგ. მთელი პირველი ომის აღწერილობა ასეთია), მაგრამ რამდენადაც მითრიდატე ევპატორი ჯერ საერთოდ და მერე კერძოდ საქართველოს წარსულისათვის საინტერესო პიროვნება იყო, ამდენად მის შესახებ არსებული შრომის სრული ქართული თარგმანის არსებობა ზედმეტ საქმედ არ ჩაითვლება.

მითრიდატე ევპატორის შესახებ ლიტერატურა დიდია. სხვათა შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, არ შეიძლება აღუნიშვნელად დავტოვოთ 1890 წელს პარიზში გამოსული მონოგრაფია Theodore Reinach-ისა „Mithridate Eupator roi de Pont“. მიუხედავად იმისა, რომ ამ შრომის გამოსვლიდან თითქმის 70 წელია გასული, მას ჯერ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ჯერაც შეიძლება იმისი თქმა, რომ ყველაზე სრულად მასალა მითრიდატეს შესახებ ამ წიგნშია თავმოყრილი. ცხადია, რეენაკი ვერ გაითვალისწინებდა იმ მასალას, რაც მის შემდეგ აღმოჩნდა (მაგ., ზოგიერთ წარწერას), შესაძლოა ზოგი საკითხის რეენაკისეული გაშუქება დღესდღეობით არ იყოს გაზიარებული, მაგრამ ჯერჯერობით ეს მონოგრაფია ერთი იმ ძირითად შრომათაგანია, რასაც გვერდს ვერ აუხვევს მითრიდატეს ისტორიით დანიტერესებული პირი<sup>1</sup>.

მოკლედ მითრიდატეს ისტორია ასე წარმოგვიდგება<sup>2</sup>: პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი ცხოვრობდა დაახლოებით 130—63 წლებში. მამის მხრივ ის აქემენიდთა ჩამომავალი იყო, ხოლო დედის მხრივ — სელევკიდთა. თუმცა მას საგანგებო განათლება არ მიუღია, მაგრამ როგორც უაღრესად ნიჭიერმა ადამიან-

<sup>1</sup> ქართულ ენაზე ყველაზე კრცლად მითრიდატეს შესახებ უწერია ლ. სანციკიძეს, რომელმაც 1936 წელს გამოაქვეყნა წიგნი „პონტოს სამეფო“. აღნიშნული წრომა მეცნიერულ-პოპულარული ხასიათისა და კარგად ემსახურება იმ ამოცანას, რომელსაც მას ავტორი უსაბავს—მოსწავლე ახალგაზრდობას, სტუდენტობას და ცოდნის გაფართოების სურვილის მქონე პირებს აცნობს შორეული ისტორიის გარკვეულ მონაკვეთს (კვ. 3).

<sup>2</sup> რაკილა წინამდებარე შრომის უშუალო მიზანს არ წარმოადგენს მითრიდატე ევპატორის ისტორიის კვლევა. ამიტომ მასალას წარმოვადგენ არსებული ლიტერატურის მიხედვით (შდრ. რეენაკის დასახ. შრომა; Машкин, Н. А. История древнего Рима; Т. Моммзен, История Рима და სხვ.).

მა იცოდა ბევრი რამ, მათ შორის, უამრავი ენები (ასახელებენ 22-ს), თვითონაც ჰქონდა ბუნებისმეტყველებიდან რალაც თხზულებები დაწერილი, ურთიერთობაში იყო მისი დროის გამოჩენილ პირებთან და მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას. ამავე დროს ის იყო ცრუმორწმუნე, ვერაგი და უღმობელი, ჰქონდა არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალა. მისი მკვლევრების განსაზღვრით, ის იყო ტიპური აზიელი დესპოტი.

მამისაგან მას პატარა ქვეყანა დარჩა მემკვიდრეობით, რაც მან თავისი დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად დიდ სახელმწიფოდ აქცია, მან პონტოს სატრაპიად გახდა კოლხიდა (დაახლოებით 110—107 წლის ახლო ხანებში)<sup>1</sup>, ხელთ იგდო ბოსფორის სამეფო და სხვ. იგი არ ეპუებოდა თვით რომის მმართველობასაც. რასაც შედეგად მოჰყვა მისი სამი ომი, რაც დაახლოებით 25 წელს გრძელდებოდა ინტერვალებით<sup>2</sup>. პირველი ომი 89—84 წლებში მიმდინარეობდა (უშუალო მიზეზი კაპადოკიისა და ბითინიის ტახტისთვის ცილობა იყო). მითრიდატეს ჯერ მანიუს აკვილიუსი ებრძოდა, რომელიც მითრიდატემ დაამარცხა, ხოლო შემდეგ ლუციუს კორნელიუს სულა. სულამ ჯერ (87 წ.) მითრიდატეს სარდალი, არქელაოსი, დაამარცხა, ხოლო შემდეგ, ორი დიდი ბრძოლა მოუგო მას—ერთი ქერონეაში და მეორე ორქომენში (86 წ.). 85 წელს მითრიდატე იძულებულა გახდა მოლაპარაკება ეწარმოებინა სულასთან, რაც დამთავრდა დარდანის ზავით. ეს ზავი რომისთვის კომპრომისული იყო, რადგან სულამ მხოლოდ 3000 ტალანტი მიიღო და პონტოს ფლოტის ნაწილი და არ იყო არაფითარი გარანტია, რომ მითრიდატე ამიერიდან მაინც მოისვენებდა, მაგრამ სულა იმიტომ აჩქარდა, რომ მას სხვა, მისი თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი, საქმეები მოელოდა და მალე უნდოდა მითრიდატესთან ომისათვის ბოლო მოელო.

მითრიდატეს მეორე ომი 83—82 წლებში იყო. დარდანის ზავის შემდეგ მითრიდატემ მალე მოიხედა. ამასობაში დაუნათე-

<sup>1</sup> შდრ. მ. ინაძე. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის (ფლავიუს არიანე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ). თბილისი. 1953 წ. გვ. 87. მანქანაზე გადაბეჭდილი. ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, № 89.

<sup>2</sup> თვითონ „მითრიდატიკაში“ წერია: „რომანელებს 40 წლის მანძილზე გაცხარებით ეომებოდაო“ (§, 112). აქ უთუოდ იგულისხმება ის სამხედრო ოპერაციები, რომელთაც მითრიდატე აწარმოებდა ამ პირველი ომის წინ რომაელთა მიმართ 110-იანი წლებიდანვე.

სავდა არმენიის ძლევამოსილ მეფეს, ტიგრანს (მას თავისი ქალი შერთო ცოლად). ლუციუს ლიცინიუს მურენამ, იმ საბაბით, რომ თითქოს მითრიდატე ზავის მიხედვით ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებსო, მოინდომა მისი ქვეყნის დარბევა. მითრიდატემ თავ-დამსხმელი დაამარცხა (ეს ითვლება მის მეორე ომად), მიმართა სულას და აღდგენილ იქნა დარდანის ზავის მიხედვით გათვალის-წინებული ხელშეკრულება.

მითრიდატეს III ომის (76—64 წწ.) საბაბად ბითინიის ტახ-ტის ამბები გახდა (მიზეზი, ცხადია, მითრიდატეს ზრახვები იყო მცირე აზიის ის ნაწილები ისევ ხელთ ჰქონოდა, რომლებიც მან სულასთან ომის შედეგად დაჰკარგა). რომაელთაგან ამ ომს პირ-ველად ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი და მარკუს ავრელიუს კოტა სარდლობდნენ. ომი ჯერ მითრიდატეს წარმატებებით მიმდი-ნარეობდა, მაგრამ 71 წელს ლუკულუსმა ის გააძევა პონტოდანაც კი, საიდანაც ის ტიგრანთან გაიქცა. მიუხედავად ლუკულუსის ამ წარმატებისა, მან სხვა, აზიის ფინანსისტების ფრონტზე განიცა-და დამარცხება, რის გამოც იძულებული იყო მითრიდატესთვის თავი დაენებებინა, ხოლო მითრიდატემ კი ამასობაში ისევ დაიბრუ-ნა თავისი პონტოს სამეფო. 66 წელს სახალხო ტრიბუნის, გაიუს მანილიუსის, წინადადების საფუძველზე მითრიდატეს წინააღმდეგ ომის წარმოება დაეკისრა პომპეუსს. 66 წლის ზაფხულში რომაელებმა პომპეუსის მეთაურობით ისევ დაიჭირეს პონტოს სა-მეფო. მითრიდატე თავდაცვით ომს აპირებდა და აშკარა შეტაკე-ბებს გაურბოდა, მაგრამ პომპეუსმა ის მაინც მიიმწყვდია ეფფრატ-თან და სასტიკად დაამარცხა. რომაელების შიშით ტიგრანმა ვერ მიიღო დევნილი მითრიდატე, ამიტომ ის ჯერ კოლხიდაში გაიქცა და შემდეგ იქიდან ბოსფორში, რომელიც ჯერ კიდევ მას ეკუთვ-ნოდა. პომპეუსი მას ვერ გაეკიდა. ბოსფორში დამკვიდრებული მითრიდატე ემზადებოდა ახალი ლაშქრობებისათვის რომის წინა-აღმდეგ. მაგრამ ამასობაში თვით თანაგორიაში მოხდა აჯანყება, რასაც გამოეხმაურნენ ხერსონესი, თეოდოსია და ნიმფეა. უკმაყო-ფილება იყო ლაშქარშიც. ეს გარემოება გამოიყენა მითრიდატეს ძემ, ფარნაკემ, რომელიც მამის წინააღმდეგ გამოვიდა. პანტიკა-პეაონის სასახლეში მარტო დარჩენილმა მითრიდატემ იგრძნო, რომ მისი ბოლოც დადგა, არ უნდოდა მტერს ცოცხლივ დანებე-ზოდა — დალია საწამლაფი, დააღვინა თავის მახლობლებსაც და, როდესაც საწამლაფმა მასზე არ გასჭრა (რაკილა მისი ორგანიზმი შეჩვეული იყო საწამლაფის მცირე დოზებით ხმარებას), თავის მო-

ნას (კელტს) უბრძანა და მოაკვლევინა თავი. ეს მოხდა 63 წელს. ფარნაკემ რომს გამოუცხადა მორჩილება. ამის ნიშნად მკედარი მითრიდატეს გვამი მან პომპეუსს გაუგზავნა, პომპეუსმა კი მითრიდატე სინოპეში დააკრძალვინა, პონტოელთა სამეფო აკლდამაში. მორჩილ ფარნაკეს რომაელებმა დაუტოვეს ბოსფორის სამეფო...

ასეთია მოკლედ მითრიდატეს ომების ისტორია, რაც აღწერილია სხვა შრომებს გარდა აპიანეს ნაწარმოებშიც. ამ თხზულების ნახევარი (§ 63-მდე) პირველი ომის აღწერილობას წარმოადგენს, მეორე ომს სულ 4 პარაგრაფი აქვს დათმობილი (§§ 64—67), ხოლო დანარჩენი (ე. ი. 68—119 §§) მესამე ომის შესახებ მოგვითხრობს, ე. ი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნაგობის მიხედვით „მითრიდატიკა“ თანაზომიერად არ არის დამუშავებული.

ზემოთ მოყვანილ ოფიციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული მითრიდატეს ისტორია დამუშავებულია არა მარტო აპიანეს „მითრიდატიკის“ მიხედვით. მისთვის სხვა ნარატიული წყაროებიც არსებობს, რომელთა შორის აღსანიშნავია, რომელ ავტორთაგან: სულა, რუტილიუსი, სალუსტიუსი, ნეპოტი, ციცერონი; ტიტუს ლივიუსი, პომპეიუს ტროგუსი. ბერძენ ავტორთაგან: პოსედონიოსი, თეოფანე, ჰიფსიკრატე, დიოფანტი, მეტროდორე სკეპსისელი, აპოლოდორე, დიონისე ჰალიკარნასელი, მემნონი; დიმაგენე, დიოდორე, ნიკოლოზ დამასკელი, სტრაბონი, იუბა; შემდეგი დროის ავტორები: პლუტარქოსი, დიონ კასიოსი.

აქ ჩამოთვლილი ავტორები ყველა არაა ჩვენამდე მოღწეული. ზოგი ფრაგმენტულადაა და ზოგიც მხოლოდ ნახსენები ან გამოყენებულია შემდეგი დროის ავტორთა მიერ.

მითრიდატეს ისტორიკოსთაგან ძირითადი, ჩვენამდე მოღწეული ავტორებია: ტიტუს ლივიუსი; სტრაბონი; პლუტარქოსი, დიონ კასიოსი და აპიანე. აპიანეს „მითრიდატიკის“ თარგმნისა და დამუშავების მიზანი იყო იქ დატული საქართველოს შესახები ცნობების გამოვლენა.

საკუთრივ საქართველოს ხსენება აპიანესთან ასეთ კონტექსტში ხდება:

ძვ. წ. 83 წელს, ვიდრე მითრიდატე რომაელებთან მეორე ომს დაიწყებდა, მან ვასტურა პონტოში გამდგარი კოლხებისა და ბოსფორელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამათგან კოლხებმა მოსთხოვეს, რომ მას მისი ძე მითრიდატე მიეცა მათთვის.

მეფედ. როგორც კი მიიღეს მათ მითრიდატე მეფედ, მაშინვე დამორჩილდნენ. მითრიდატემ (მამამ) ეჭვი აიღო, რომ ეს ყოველივე მისი ძის მოწყობილი იყო. ამას კი ამოკვებდნენ ხელისუფლების ხელში ჩაგდების სურვილი—ამიტომ მოიხმო შვილი თავისთან და ოქროს ბორკილები დაადო. ბოსფორელების წინააღმდეგ კი იგი დიდ მზადებაში იყო, ამიტომ ეგონათ — რომაელებთან საბრძოლველად ემზადებო (§ 64).

რომაელებთან მეორე ომის დამთავრების შემდეგ, ძვ. წ. 80 წ. მითრიდატემ დაიმორჩილა ბოსფორი და იქ მეფედ თავისი ძე მახარე დააყენა. ამავე დროს თავს დაესხა აქეელებს (აპიანეს თქმით ამათ შესახებ ფიქრობენ, რომ ესენი ტროიდან წამოსული ხალხია, რომელსაც გზა აებნა), რომლებიც კოლხებს ზემოთ ცხოვრობენ. აქ მითრიდატემ თავისი ლაშქრის ორი მესამედი დალუპა. ზოგი ბრძოლაში და ზოგი ყინვისაგან და ასე დაბრუნდა უკან. მეორე იყო, რომ რომში გაგზავნა კაცები ხელშეკრულების დასადებად (§ 67).

ძვ. წ. 74 წელს მითრიდატე ემზადებოდა რომაელებთან მესამედ საბრძოლველად: ააგო ხომალდები, მოიმარაგა იარაღი და შეაგროვა სანაპიროს სხვადასხვა ადგილას 2000000 მედიმნი პური. მოკავშირეებად ჰყავდა ძველებს გარდა ხალიბები, არმენიელები, სკვითები, ტავრები, აქეელები, ჰენიოხები, ლევკოსირები და სხვები (§ 69).

როგორც ცნობილია, ძვ. წ. 66 წელს პომპეუსმა დაამარცხა მითრიდატე და ამას ზოუხდა თავისი სამშობლოდან გაქცევა. მითრიდატე გამაგრებული ადგილიდან, სინორეგიდან დაქირავებული ქვეითებითა და ცხენოსნებით და 6000 ტალანტით წავიდა ეფფრატის სათავეებისაკენ, იმისათვის, რომ იქიდან კოლხებში გადასულიყო. მეოთხე დღეს გადავიდა ეფფრატზე, ხოლო კიდევ 3 დღის მერე შეიჭრა არმენიაში, ხოტენეში: აქ მას დახვდნენ ხოტენები და იბერები, რომელთაც მისი დაბრკოლება უნდოდათ (ისრები და შურდულები დაუშინეს), ესენი გარეკა მითრიდატემ და მდინარე აფსაროსთან მივიდა (აპიანეს გადმოცემით აზიის იბერები ზოგს წინაპრებად მიაჩნიათ, ზოგს კი კოლონისტებად ევროპის იბერებისა, ზოგსაც მათ მოსახელე ტომად, რადგან არც ენა აქვთ მსგავსი და არც ზნეჩვეულებები). მითრიდატემ დიოსკურიაში (Ἐν Διοσκουριᾷ) გაატარა ზამთარი (კოლხებს ეს ქალაქი იმის ნიშნად მიაჩნიათ, რომ დიოსკურებმა არგონავტებთან ერთად ილაშქრეს) და ფიქრობდა, რომ პონტოს, მის ნაპირზე მცხოვრებ სკვითებს და მეოტისის ტბას შე-



მოუვლიდა და შეიქრებოდა ბოსფორში, წაართმევდა უმადურ შვილს. მახარეს, ძალაუფლებას და ისევ რომაელებს შეუტევდა... (§ 101). მითრიდატემ თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა მოინდომა. მითრიდატემ გაიარა სკვითურ ტომებზე (ჭმუჟ), ზოგთან შეთანხმებას აღწევდა, ზოგთან კი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. მაგ., ჰენიოხებმა ის მშვიდობიანად მიიღეს, ხოლო აქეელეები მან გააქცია და მისდია მათ. ეს აქეელეები, გადმოცემის მიხედვით, ტროიდან ბრუნდებოდნენ და ქარიშხალმა პონტოში შემორქვა. აქ აქეელეები, როგორც ელინები, ბევრს ითმენდნენ ბარბაროსებისაგან. ამათ (აქეელეებმა) შეუთვალეს სამშობლოში, რომ მათთვის ხომალდები გამოეგზავნათ, პასუხი ვერ მიიღეს, ამიტომ განრისხდნენ ელინურ მოდგმაზე (γένει) და სკვითური ჩვეულებების მიხედვით დაუწყეს დატყვევებულ ელინებს ხოცვა—მსხვერპლად მიტანა, ჯერ — განურჩევლად ყველას, ხოლო შემდეგ — არჩევდნენ მათ შორის უღამაზესებს; ხოლო მსხვერპლად სწირავდნენ მას, ვისაც წილი ხვდებოდა. ესაა სკვითი-აქეელეების შესახებ (§ 102).

როგორც კი გაიქცა მითრიდატე, პომპეუსმა მისდია მას კოლხიდანღე, შემდეგ, დარწმუნებულმა იმაში, რომ ამის იქით მითრიდატე ვერაფერს გახდებოდა, ანება მას თავი და თვითონ წავიდა კოლხიდაში, არგონავტების, დიოსკურებისა და ჰერაკლეს აქ ყოფნის ამბების შესატყობად (αμφ'ιστορίαν τῆς Ἀργοναυτῶν καὶ Διοσκῦρων καὶ Ἡρακλέους ἐπιδημίας), განსაკუთრებით კი უნდოდა ენახა პრომეთეისის ტანჯვის ადგილი — კავკასიონის მთები. კავკასიონიდან გამომდინარე ბევრ წყაროს მოაქვს უხილავი ოქროს ქვიშა. მახლობლად მცხოვრები ხალხი ამ ნაკადულებში ჰყოფს ცხვრის გრძელ და სქელ ბეწვიან ტყავებს და ამით აგროვებს ოქროს ქვიშას, რომელიც ამ ბეწვებზე რჩება. ამგვარი იყო, ალბათ, აეტის ოქროსმატყლოვანი საწმისიც. ამგვარად, პომპეუსი ამ ამბების მოსახილველად წავიდა ამ ქვეყნებში; ზოგმა ტომმა (ჭმუჟ) ის გაატარა, ხოლო ალბანთა მეფე ოროხზე და იბერთა მეფე არტოკე 70.000 კაციით დახვდნენ მას მდ. კირნოსთან (რომელიც 12 სანაოსნო ტოტით უერთდება კასპიის ზღვას, მას მერე, რაც ბევრ მდინარეს იერთებს, რომელთა შორის უდიდესია არაქსი). პომპეუსმა რომ შეიტყო ჩასაფრების ამბავი, ხიდი გასდო მდინარეზე, ხოლო ბარბაროსები შერქვა სქელ ბუჩქნარში (ესენი ტყეში ბრძოლაში ძალიან საშიშნი არიან, რადგან იმალებიან და უჩინრად ესხმიან თავს მოწინააღმდეგეს). თავისი ჯარი ამ ბუჩქ-

ნარს გარსშემოარტყა და ბუჩქნარს ცეცხლი წაუკიდა. ვინც აქედან გაქცევას მოინდომებდა, მას მღვეარს დაადევნებდა ხოლმე, ვიდრე ყველამ მძევლები არ მისცეს და საჩუქრები არ მოუტანეს. ამისთვისაც იყო, რომ რომში ის ზეიმით შევიდა (§ 103).

როგორც ცნობილია, რომისა და მითრიდატეს ბრძოლები მითრიდატეს დამარცხებით დამთავრდა მთავარსარდალ პომპეუსის დროს. აპიანე წერს: პომპეუსმა მარტო ამ ერთი ომით განადგურა ყაჩაღობა, დაამხო დიდი მეფე და გარდა ამ პონტოს ომისა მონაწილეობას ლებულობდა ბრძოლებში კოლხებთან, ალბანებთან, იბერებთან, არმენიელებთან, მიდიელებთან, არაბებთან, იუდეეელებთან და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან (ჭმუიჯ) და რომაელთა ხელისუფლება განაგრცო ეგვიპტემდე... დაპყრობილი ხალხებიდან (εἰλημύχνησιν ἔμψων) ზოგს დაუტოვა დამოუკიდებლობა მოკავშირეობის პირობით, ზოგი მაშინვე რომაელების ქვეშევრდომები გახადა, ზოგიც სამეფო ძალაუფლებას გადასცა, როგორც, მაგ., არმენია ტიგრანეს, ბოსფორი ფარნაკეს, კაპადოკია არიობარზანეს და სხვ. (§ 114).

რომში პომპეუსის ტრიუმფმა ყველა სხვას გადააჭარბა. ორ დღეს ზეიმობდნენ გამარჯვებას მრავალ ხალხებზე (ჭმუიჟ), რომლებიც იყვნენ პონტოდან, არმენიიდან, კაპადოკიიდან, კილიკიიდან, მთელი სირიიდან, ალბანთაგან, ჰენიოხთაგან, აქეელთაგან, რომლებიც სკვითიაში არიან და აღმოსავლეთის იბერიიდან<sup>1</sup> (§ 116).

ამ ტრიუმფის დროს თვით პომპეუსის წინ მიდიოდნენ დამარცხებული მეფეების მთავრები (ἡγεμῶνας), შვილები ან მხედართმთავრები, ზოგი ტყვე და ზოგი მძევალი—324 კაცი სულ. აქ იყვნენ; ტიგრანე, ტიგრანეს ძე, მითრიდატეს ხუთი ვაჟი და ორი ქალი, კოლხთა სკეპტუხი ოლთაკე, სკვითი ქალები, სამეფო გვარიდან, იბერთა სამი ბელადი და ალბანთა ორი, მენანდრე ლაოდიკიელი, მითრიდატეს ჰიპარხოსი (მეგჯინიბეთუხუცესი) და სხვ. ვინც აქ არ იყო, იმათი გამოსახულებები მოჰქონდათ. მოჰქონდათ აგრეთვე სხვადასხვა ბრძოლების ამსახველი სურათები და აგრეთვე დაფა, რომელზედაც ეწერა: ამდენი ხომალდი ვიგდეთ ხელთ. ამდენი ქალაქი დავაარსეთ... დაძლეული არიან მეფეები: ტიგრანე

<sup>1</sup> აღსანიშნავია ის, რომ პონტოდან სირიამდე ჩამოთვლილია ქვეყნების სახელები, შემდეგ—ალბანები, ჰენიოხები და აქეელები ხალხთა სახელით არიან წარმოდგენილი, იბერია ისევ ქვეყნის სახელითაა მოცემული. ზემოთ „კოლხიდასა“ და „კოლხებს“ პარალელურად ხმარობს აპიანე.

არმენიელი, არტოკე იბერი, ოროჯზე ალბანი, დარიოს მიდიელი, არეტა ნაბატეელი, ანტიოქე კომაგენელი (§ 117).

ასეთია „მითრიდატიკაში“ დაცული ცნობები საქართველოს შესახებ. ამ ცნობათა შორის ყურადღებას იპყრობს შემდეგი: აპიანე გადმოსცემს სხვათა აზრებს საქართველოს იბერებისა და ესპანეთის იბერების ურთიერთობის შესახებ. ობიექტურად გვაუწყებს იმას, თუ რა აზრის არიან ამ საკითხზე სხვადასხვა პირები,—ზოგის აზრით ჩვენი იბერები წინაპრები არიან ევროპელი იბერებისა; სხვათა აზრით—ევროპის იბერების კოლონისტები არიან აზიის იბერები; აპიანეს მიერ მოყვანილი მესამე აზრის თანახმად, ევროპისა და აზიის იბერები თანამოსახელე ტომები არიან, რადგან არც ენა აქვთ მსგავსი და არც ზნეჩვეულებებიო. თუ საიდან აიღო აპიანემ ეს მოსაზრებები, ამის შესახებ თვითონ არაფერს ამბობს, წყაროს არ იმოწმებს.

ასევე, უეჭველად საყურადღებოა კავკასიონის ნაკადულების მიერ ჩამოტანილი ოქროს ქვიშის შეგროვების წესის აღწერისას (რაც სხვა ავტორებსაც აქვთ, მზგ., სტრაბონს) გამოტანილი დასკვნა: ოქროს ქვიშას სქელბეწვიანი ტყავების შემწეობით აგროვებდნენ; ქვიშა ბეწვებზე რჩებოდა და ალბათ ასეთი იყო აეტის ოქროსმატყლოვანი ვერძის ტყავიცო. დღეს-დღეობით, როდესაც ჩვენ არგონავტთა მითის რეალური, ისტორიულად არსებული საფუძვლების გარკვევას ვცდილობთ, ხომ იმას ვამბობთ, რომ კოლხიდაში არსებულმა სიმდიდრემ (მათ შორის სხვადასხვა ლითონებმა—კერძოდ სვანეთის ნაკადულების ოქრომ) მოიზიდა ბერძნები აქ და მათი ლაშქრობა შემდეგ არგონავტთა მითში აისახაო.

ძველი ბერძენი ავტორები შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხებს, კერძოდ აქეელებს საკმაოდ დაბალი განვითარების ტომად წარმოგვიდგენენ. აპიანე დამატებით იმას გვაუწყებს, რომ ისინი თურმე ხოცავდნენ დატყვევებულ ბერძნებს და მას საჭიროდ მიაჩნია ამისი მიზეზიც აგვიხსნას. ახსნა საკმაოდ გულუბრყვილოა და უკავშირდება ისევ იმ დაუსაბუთებელ თეზას, რომელიც ბევრ სხვა ავტორთან გვხვდება—ეს აქეელები ბერძენი აქეელების ნაწილს წარმოადგენენ (იხ. ზემოთ).

ასევე საკმაოდ გულუბრყვილოდ გამოიყურება აპიანესეული ახსნა პომპეუსის კოლხიდაში გამგზავრების მიზეზებისა — თურმე პომპეუსს მოსდომებია არგონავტების, დიოსკურებისა და ჰერაკლეს იქ ყოფნის ამბები შეეტყო და განსაკუთრებით კი პრომეთეის ტანჯვის ადგილი—კავკასიონის მთები—ენახა.

სხვა შემთხვევაში შესაძლოა რომელიმე მეცნიერი მართლაც გამგზავრებულიყო კოლხიდაში მის დასათვალისწინებლად, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც მთელი აღმოსავლეთის ფრონტი პომპეუსს ექვემდებარებოდა, მას სხვა თუ არაფერი, არ ეცლებოდა მხოლოდ განმანათლებელი და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებელი ექსკურსიებისათვის.

ამის გვერდით საკმაოდ ზუსტადაა აღწერილი (და სხვა ავტორებთანაც დაახლოებით ასევეა წარმოდგენილი) პომპეუსის ბრძოლის სურათი იბერთა და ალბანთა მეფეებთან. ავტორის მიერ კარგად არის დიფერენცირებული, თუ როგორ ეპყრობოდნენ რომაელები დაპყრობილ ხალხებს: ზოგს ქვეშევრდომებად იხდიდნენ, ზოგს დამოუკიდებლობას უტოვებდნენ მოკავშირეობის პირობით, ზოგსაც სამეფო ძალაუფლებას აძლევდნენ (§ 114). რომის პოლიტიკას დაპყრობილთა მიმართ თანამედროვე ისტორიოგრაფიაც ასე იაზრებს.

საქართველოს ანტიკური ისტორიის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობისად არის ჩათვლილი აპიანეს ცნობა, სადაც ვკითხულობთ: პომპეუსმა კოლხთა დინასტიად დააყენა არისტარქე („მითრიდატეს ომების ისტორია“, § 114).

ივ. ჯავახიშვილი თუმცა ავტორად აპიანეს არსად იმოწმებს (და შესაძლოა ის ლათინ ავტორებს ეყრდნობა ამ ცნობის გამოყენებისას), მაგრამ გარკვეულად გამოთქვამს ასეთ აზრს: „ძლევამოსილი პომპეიუსი ეხლა კი დაიძრა და კოლხეთში გადავიდა და იქ მეფედ არისტარხი დააყენა“...<sup>1</sup> „ამგვარად, თუ წინათ, მაგ., პომპეიუსის დროს, კოლხეთში ერთი მთლიანი სამეფო და. მხოლოდ ერთი მეფე, არისტარხი, ჩანს, 134 წელს ქ. მ. ამავე მიწა-წყალზე ოთხი სახელმწიფოებრივი ერთეულია და ოთხი მეფე ზის“<sup>2</sup>, ე. ი. ივ. ჯავახიშვილის აზრით ერთი მთლიანი სამეფოს, კოლხიდის მეფეა პომპეუსის მიერ დაყენებული არისტარხი.

ამავე ამბის გამო ს. ჯანაშია წერს: „პომპეუსს კოლხეთში თავისი კაცი, ვინმე არისტარხი დაუდგენია მმართველად. რომელი ისტორიკოსები ევტროპი და ფესტი (IV ს.) ამტკიცებენ, თითქოს არისტარხი მეფედ (regem) იყო დანიშნული“<sup>3</sup>... „პომპეუსს კოლხეთში თავისი კაცი, ვინმე არისტარხი დაუდგენია მეფედ. ეს ანბავი ჩანს არ ნიშნავდა მითრიდატის ბატონობისაგან განთავისუფ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951 წ. გვ. 166.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 173.

<sup>3</sup> ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 181.

ლებული კოლხეთის აღდგენას ცალკე სამეფოს სახით, თუნდაც რომის ვასალობის პირობებში: არისტარხი ყოფილა არა მარტო კოლხების, არამედ ბოსფორელების მეფეც“<sup>1</sup>. ამგვარად, ს. ჯანაშია ერთ შემთხვევაში მმართველს უწოდებს არისტარხს, ხოლო მეორე შემთხვევაში — მეფეს.

მ. ინაძე თავის საღისერტაციო ნაშრომში: „ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის (ფლავიუს არიანე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ)“ ამავე საკითხზე შემდეგს წერს: „კოლხეთში აპიანეს, ევტროპისა და ფესტის ცნობების თანახმად რომაელთა მიერ მეფედ დასმული იყო არისტარხი. საყურადღებოა, რომ თუ კი ეს წყაროები არისტარხეს მეფედ მოიხსენიებენ, მის მიერ მოჭრილ მონეტაზე იგი კოლხეთის მმართველად იწოდება...“<sup>2</sup> (კოლხეთში) რომის მიერ მეფედ იქნა დასმული არისტარხი, მაგრამ მიუხედავად ამისა უკანასკნელის როლი კოლხეთში მხოლოდ რომაელი მმართველის ფუნქციებით განისაზღვრა. ეს გარემოება უნდა აიხსნას კოლხეთში არსებული... შინაგანი ვითარებით. კერძოდ იმით, რომ აღებულ ხანებში კოლხეთი დაშლილი იყო ცალკეულ ტომთა სამთავროებად და აქ არ არსებობდა ადგილობრივი ერთიანი ხელისუფლება, რომელსაც გამოიყენებდა რომი თავისი მიზნებისათვის... და არც ისეთი ძალა, რომელსაც შეიძლებოდა დაყრდნობოდა რომის მხრივ აქ მეფედ დანიშნული პირი“<sup>3</sup>.

ამგვარად, მ. ინაძის აზრით, რომაელებმა არისტარხი მეფედ დასვეს, მაგრამ მისი რეალური ფუნქცია მხოლოდ მმართველობა აღმოჩნდა (რაც აისახა კიდევაც მის მიერ მოჭრილი მონეტის წარწერაში).

„საქართველოს ისტორიის“ ძველ სახელმძღვანელოში წერია: „პომპეუსმა კოლხეთიც რომაელების მიერ დამორჩილებულ ქვეყნებს შიათვალა. რომაელებმა კოლხეთში თავისი მმართველი დააყენეს“<sup>4</sup>.

„საქართველოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „კოლხეთის მმართველად მან (ე. ი. პომპეუსმა — თ. ყ.) ვინმე არისტარქი დააყენა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 179—180.

<sup>2</sup> მანქანაზე გადაბეჭდილი, გვ. 96.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 302.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1943 წ. გვ. 58.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაკარავა, გ. მელიქიშვილი. ნ. მესხია, პ. რატიანი, საქ. ისტორია, 1958წ. გვ. 46

ხოლო დამხმარე სახელმძღვანელოში წერია: „იბერიიდან კოლხეთში შექრილმა (ძვ. წ., 65 წ.) პომპეუსმა ...იქ შეფედ დასჯა ვინმე არისტარქი“<sup>1</sup>.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, სპეციალური კვლევა არისტარქეს ძალაუფლების გასარკვევად არსად არის წარმოებული და იგი სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა წერილობითი წყაროების საფუძველზე ხან „მეფობით“ არის მოხსენებული და ხან „მმართველობით“. ყველა ზემოთმოხსენებულ შრომაში ამავე არისტარქესად არის აღიარებული ის ვერცხლის დრაქმა, რომელიც ძვ. წ. ა. 52 წელს არის მოჭრილი და რომელსაც შემდეგი ბერძნული წარწერა აქვს: ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΑΟ ΒΙ<sup>2</sup>.

აპიანეს „მითრიდატიკის“ ამ ადგილზე დაკვირვების შედეგად ისმის საკითხი ამ ავტორის მიერ ხმარებული ძალაუფლების აღმნიშვნელი ტერმინებისა:

1. *Βυσσάτης* სიტყვაში ძირია *βυσ*, რომლის ეტიმოლოგია უცნობია<sup>3</sup>. ამავე ძირისაგან არის წარმოებული ბევრი გავრცელებული სიტყვა, მაგ., *βυσσα* — „შემიძლია“, *βυσσός* „შემძლებელი“. *βυσσας* — „ძალა“ და სხვ. *βυσσας* და *βυσσα*: უკვე ჰომეროსის ეპოსში დადასტურებული სიტყვებია<sup>4</sup>, ხოლო *βυσσάτης* გვხვდება მხოლოდ ესქილეს, სოფოკლესა და ჰეროდოტეს დროიდან.

*Δυσσάτης*-ს აქვს რამდენიმე მნიშვნელობა, რომელთა შორის თავდაპირველი იყო „შემძლებელი, ძლევამოსილი (კაცი)“. ეს სიტყვა იხმარებოდა: ზევსის მიმართ (სოფოკლესთან), ღმერთის მიმართ (ახალი აღთქმის წიგნებში), მნათობების მიმართ (ესქილესთან). როდესაც *βυσσάτης* გამოხატავდა აღამიანს, ის აღნიშნავდა მთელ გვარს, რომელიც სახელმწიფოში ბატონობდა (განსხვავებით ტირანისაგან, რომელსაც მარტო ეპყრა ძალაუფლება)<sup>5</sup>. პლატონი სხვადასხვა რიგისად მიიჩნევს ტირანებს, ბასილევებსა და დინას-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მუსხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 66.

<sup>2</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, 1950 წ. გვ. 32. არისტარქეს დრაქმის ეგზემპლარები დაცულია ლენინგრადში (ერმიტაჟში), პარიზსა და სმირნაში.

<sup>3</sup> E. Boisacq, Dictionnaire étymologique de la langue grecque, 1916, გვ. 204.

<sup>4</sup> Autenrieth-Kaegi, Schulwörterbuch zu den homerischen Gedichten, 1908, გვ. 91.

<sup>5</sup> W. Pape, Griechisch-deutsches Handwörterbuch, 1914. სიტყვები *βυσσάτης*, *βυσσασεία*.

ტებს (παράγυναν, καὶ βασιλέων καὶ δυναστεῶν: გორგია, 525 d). პოლიბიოსთან დასაბუთებლად აღნიშნავს მცირე მთავარს (kleinerer Fürst).

ყველა ვრცელ ლექსიკონში, რომელთაც ილუსტრაციები მოეპოვებათ, დასაბუთებლად აღნიშნავს მცირე მთავარს (kleinerer Fürst). ვაისმანის ბერძნულ-რუსულ ლექსიკონში, რომელიც პატარა ლექსიკონთა შორის საუკეთესოა, დოკუმენტაციის გარეშე დასაბუთებლად აღნიშნავს მცირე მთავარს (kleinerer Fürst) სიტყვებით: человек могущественный, правитель, повелитель, царь, вельможа; დასაბუთებლად, ცხადია, შეიძლება ითქვას ყველა ამ პირის მიმართ (და კიდევ სხვათა, მაგ. ლმერთების, არქონტის, სატრაპის და სხვათა მიმართ), ისევე როგორც დედასაბუთებლად (ი. ი. მეფე. მეფე როგორც ძველმოსილი პიროვნება შეიძლება იწოდოს დასაბუთებლად, მაგრამ, „მეფე“ და „დინასტი“ სინონიმები არ არის, როგორც ძალაუფლების აღმნიშვნელი ტერმინი.

ამგვარად, დასაბუთებლად თავდაპირველად ეწოდებოდა ყველა იმას, ვისაც რაიმე მნიშვნელოვანი ძალაუფლება ჰქონდა და შემდეგ ის დაზუსტდა, როგორც მთავარი, მმართველი, გამგებელი. ელინისტური და მომდევნო ხანისათვის დასაბუთებლად არსად აღნიშნავს „მეფეს“ და რატომ უნდა გავიგოთ ის ასე კოლხიდის შემთხვევაში, როდესაც კოლხიდაში სააწმისო მონაცემები არ არის?

რაც შეეხება არისტარქეს დრამას, მასზე წერია: Ἀριστάρχου τῆς ἐπὶ Κολχίδος ΒΙ ე. ი. „არისტარქესია, რომელიც კოლხიდას (განაგებს, მართავს). 12-ე (წელი)“ (რუსულად უკეთ გამოდის: Аристарха, который над Колхидой). ἐπὶ Κολχίδος არის: კოლხიდის უფროსი; თანამდებობა, ძალაუფლება აქვს კოლხიდაზე. ასეთი პირი შესაძლოა მეფეც იყოს, მაგრამ ასე ვფიქრობ, „მეფობით“ რომ ყოფილიყო არისტარქეს აღნიშვნა საჭირო, მაშინ ამ მონეტასაც ისეთივე წარწერა ექნებოდა, როგორც არის ამავე დროის ბოსფორის მეფის ფარნაკეს მონეტაზე: βασιλέως [ε] μεγάλου Φαρνάκου<sup>1</sup> — დიდი მეფის ფარნაკესია. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე დროს ფარნაკე მეფობით იხსენიება, ხოლო არისტარქე — როგორც თანამდებობის პირი კოლხიდაში.

არისტარქე როგორც „მეფე“ (პირობითად ვხმარობთ ამ შემთხვევაში სიტყვა „მეფეს“) იხსენიება ლათინურ წყაროებში: ევტროპი წერს: Aristarchum Colchis regem imposuit<sup>2</sup> „(პომპეუსმა) კოლხებს მეფედ არისტარქე დაუყენა“. ხოლო ფესტუსთან ვკითხვლობთ: Idem Pompeius Bosphorianis et Colchis Aristar-

<sup>1</sup> Гайдукевич, Воспорское царство, стр. 586, таб. III. 53.

<sup>2</sup> Latyshev, SC, II, გვ. 3:9.

